20410484

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

18/09/2024 N 369

თბილისი

შპს ,,ჩოხელთა 2003“-ის სესხის გამცემი სუბიექტისათვის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 52^2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის, ,,სესხის გამცემი სუბიექტის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 27 სექტემბრის N217/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2024 წლის 16 სექტემბრის N235/04 ბრძანების საფუძველზე:

1. გაუქმდეს შპს ,,ჩოხელთა 2003”-ის სესხის გამცემი სუბიექტის (საიდენტიფიკაციო ნომერი 430045505) რეგისტრაცია სარეგისტრაციო ნომრით სგს-2720252, მისამართზე: ქ. ზესტაფონი, გიორგი ჭანტურიას ქ. N2-6;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,შპს ,,ჩოხელთა 2003“-ის სესხის გამცემი სუბიექტის რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2023 წლის 20 ივლისის N338 განკარგულება;
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ. N64), მხარისათვის მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;
4. განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის მისი გაცნობისთანავე.

ირმა ბოკუჩავა

დეპარტამენტის უფროსი
არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტი